

სს პსპ დაზღვევა

კომსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2016 წლის 31 დეკემბერს**

სს „პატ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური აწგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური აწგარიშგება

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული აწგარიშგება 5

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული აწგარიშგება 6

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული აწგარიშგება 7

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული აწგარიშგება 8

კონსოლიდირებული ფინანსური აწგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 18
4. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები 18
5. წმინდა გამომუშავებული პრემია 21
6. სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში 21
7. საერთო, ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები 22
8. გაუფასურების ზარალი 22
9. მოგების გადასახადის ხარჯი 23
10. მირითადი საშუალებები 24
11. მოთხოვნები დაზღვევიდან 24
12. სხვა აქტივები 25
13. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები 25
14. ფული და ფულის ეკვივალენტები 25
15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები 26
16. სხვა ვალდებულებები 27
17. რისკების მართვა 27
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 34
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები 35

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „პსპ დაზღვევის“ აქციონერებს და მენეჯმენტს

აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „პსპ დაზღვევის“ და მისი შვილობილი კომპანიის შპს „ნიუ კლინიკის“ (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული კონსოლიდირებული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აზრაცხი. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელნი ჯგუფისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო მოსაზრების გამოსახატად.

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აზრაცი

სს „პსპ დაზღვევის“ 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2016 წლის 12 აპრილს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენ, 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-4 შენიშვნაში აღწერილი ჩინა პერიოდის შეცდომების შესწორების აუდიტიც რომელიც განხორციელდა 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადო არის გავეთებული. ჩვენ არ დავუნიშნოვართ ჯგუფის 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური არის გარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა ანგარიშგების აუდიტის, გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2015 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობა და წარადგინოს საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე, თუ არ აპირებს ჯგუფის ოპერაციების შეჩერებას ან ლიკვიდაციას.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური რეპორტინგის პროცესს გაუწიონ ზედამხედველობას.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი მიზანია, ჩავატაროთ აუდიტი იმგვარად, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის იმის გარანტი რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის უზრუნველყოფს, რომ იგი აღმოაჩენს არსებით უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ითვლება, რომ იგი მატერიალურია, თუ კონსოლიდირებულად ან აგრეგირებულად, მოსალოდნელია, რომ გავლენას იქნიებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ როგორც შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვუკეთებთ იდენტიფიცირებას და ვაფასებთ პოტენციური უზუსტობების რისკებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით, ვატარებთ აღნიშნული რისკების შესაბამის გამანერიტრალებელ პროცედურებს და ვიღებთ საკმარის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას მოსაზრების გამოსახატად. თაღლითობით გამოწვეული მატერიალური უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეულის, რადგანაც თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს დოკუმენტების გაყალბებას, გამიზნულ გამორჩენებს ან შიდა კონტროლების უგულებელყოფას
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის პროცედურებს, რომლებიც აუდიტისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა დავგეგმოთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ ჯგუფის
- შიდა კონტროლის გარემოს ეფექტურობაზე გამოვხატოთ მოსაზრება
- ვაფასებთ ჯგუფის მიერ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკებსა და შეფასებებს და მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განმარტებით შენიშვნებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გაკეთებულ შეფასებას საქმიანობის უწყვეტობასთან დაკავშირებით
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, სამართლიანად ასახავენ თუ არა ისინი მოვლენებსა და ტრანზაქციებს
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

თბილისი, საქართველო

13 აპრილი 2017

ქარება
გიორგი

სს „პიპ დაზღვევა“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

| | 2016 | 2015 |
|--|---------------------|----------------------------------|
| | | გადაანგარიშებული (შენიშვნა 4) |
| მოზიდული პრემია | 30,067,383 | 17,742,294 |
| ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში | 442,945 | (790,575) |
| წმინდა გამომუშავებული პრემია | 5 | 30,510,328 |
| სადაზღვევო ზარალები და ცვლილება | | 16,951,719 |
| ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში | 6 | (28,045,790) (15,446,415) |
| წმინდა სადაზღვევო ზარალები | (28,045,790) | (15,446,415) |
| აკვიზიციის ხარჯები | (8,379) | (37,649) |
| საერთო, ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები | 7 | (3,925,516) (2,866,796) |
| გაუფასურების ზარალი | 8 | (389,068) (550,001) |
| სხვა შემოსავალი და ხარჯი | | (146,635) (110,825) |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი | (2,005,060) | (2,059,967) |
| საპროცენტო შემოსავალი, წმინდა | 513,984 | 435,255 |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) | 291,492 | 602,441 |
| ზარალი დაბეგვრამდე | (1,199,584) | (1,022,271) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 9 | - |
| წმინდა ზარალი | (1,199,584) | (1,022,271) |

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2017 წლის 13 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად
შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



9-35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს.

სს „პსპ დაზღვება“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

| | | 31.12.2015 | 31.12.2014 | |
|--|----------|-------------------|----------------------------------|----------------------------------|
| | შენიშვნა | 31.12.2016 | გადაანგარიშებული (შენიშვნა 4) | გადაანგარიშებული (შენიშვნა 4) |
| აქტივები | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 10 | 259,717 | 240,551 | 228,037 |
| არამატერიალური აქტივები | | 14,886 | 13,800 | 12,377 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | | 55,125 | 67,809 | 137,639 |
| მარაგები | | 63,905 | 26,530 | 40,337 |
| მოთხოვნები დაზღვევიდან | 11 | 6,393,406 | 5,018,364 | 5,158,725 |
| სხვა აქტივები | 12 | 201,517 | 138,174 | 145,641 |
| საბანკო დაწესებულებებში | 13 | 7,639,378 | 5,148,479 | 6,047,302 |
| განთავსებული დეპოზიტები | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 14 | 2,377,639 | 1,576,122 | 906,544 |
| სულ აქტივები | | 17,005,573 | 12,229,829 | 12,676,602 |
| საკუთარი კაპიტალი | | | | |
| სააქციო კაპიტალი | | 14,000,000 | 9,000,000 | 8,844,630 |
| აკუმულირებული ზარალი | | (8,195,472) | (6,995,888) | (5,973,617) |
| სულ საკუთარი კაპიტალი | | 5,804,528 | 2,004,112 | 2,871,013 |
| ვალდებულებები | | | | |
| სადაზღვევო კონტრაქტებიდან | 15 | 9,562,654 | 8,746,219 | 8,461,346 |
| წარმოშობილი ვალდებულებები | | | | |
| სხვა ვალდებულებები | 16 | 1,638,391 | 1,479,498 | 1,344,244 |
| სულ ვალდებულებები | | 11,201,045 | 10,225,717 | 9,805,590 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | 17,005,573 | 12,229,829 | 12,676,603 |

9-35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „პაპ დაზღვევა“

საკუთარი კაპიტალის მომრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

| | სააქციო კაპიტალი | აკუმულირებული ზარალი | სულ |
|---|---------------------|-------------------------|--------------------------|
| ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის გადაანგარიშებული (შენიშვნა 4) | 8,844,630 | (5,973,617) | 2,871,013 |
| საანგარიშგებო პერიოდის ზარალი სააქციო კაპიტალის შევსება | - 155,370 | (1,022,271) - | (1,022,271) 155,370 |
| ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის გადაანგარიშებული (შენიშვნა 4) | 9,000,000 | (6,995,888) | 2,004,112 |
| საანგარიშგებო პერიოდის ზარალი სააქციო კაპიტალის შევსება | - 5,000,000 | (1,199,584) - | (1,199,584) 5,000,000 |
| ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის | 14,000,000 | (8,195,472) | 5,804,528 |

9-35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „პსპ დაზღვევა“

ფულადი ნაკადების მომრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

| | 2016 | 2015 |
|---|--------------------|--------------------|
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | | |
| მიღებული სადაზღვევო პრემია | 27,575,718 | 16,210,045 |
| შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან | 99,160 | 196,013 |
| ანზღაურებული ზარალები | (26,105,339) | (15,084,223) |
| გადახდილი ხელფასები | (2,293,808) | (1,642,138) |
| აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილი ფულადი | (7,840) | (54,235) |
| სახსრები | | |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (973,009) | (611,327) |
| გადახდილი საიჯარო ქირა | (269,097) | (105,719) |
| გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა და | (651,125) | (349,070) |
| ჯარიმები | | |
| გადახდილი მოგების გადასახადი | - | (26,800) |
| სხვა შემოსულობანი | 203,955 | 187,353 |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა | (2,421,385) | (1,280,101) |
| ფულადი ნაკადები | | |
| ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | | |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შემენა | (55,004) | (81,463) |
| ძირითადი საშუალებების და არამატ. აქტივების გასვლიდან | 7,850 | 900 |
| შემოსულობანი | | |
| საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების | (1,976,776) | 1,333,747 |
| ზრდა/შემცირება | | |
| საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა | (2,023,930) | 1,253,184 |
| ფულადი ნაკადები | | |
| ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | | |
| შემოსულობანი აქციების ემისიისგან/კაპიტალის ზრდისგან | 5,000,000 | 155,370 |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა | 5,000,000 | 155,370 |
| ფულადი ნაკადები | | |
| ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/(კლება) | 246,832 | 541,125 |
| ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა: | 801,517 | 669,578 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში: | 1,576,122 | 906,544 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს: | 2,377,639 | 1,576,122 |

9-35 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „პაპ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „პაპ დაზღვევა“ (შემდგომში - კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წლის 22 აგვისტოს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი # 204545572, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, პუშკინის ქ. #3. 2015 წლის 18 დეკემბერს ‘დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად შპს პაპ დაზღვევამ შეცვალა სამართლებლივი ფორმა და გახდა სს პაპ დაზღვევა. კომპანია დღგ-ის გადამზღვევლის არ წარმოადგენს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე კახაბერ ოქრიაშვილი, რომელიც ფლობს კომპანიის აქციების 100%-ს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ყველა ტიპის სადაზღვევო მომსახურება, გარდა გადაზღვევის მომსახურებისა.

შპს „ნიუ კლინიკა“ (შემდგომში - შვილობილი კომპანია) წარმოადგენს დამფუძნებელი კომპანიის 100%-ით ფლობილ შვილობილ კომპანიას. ეს კომპანია დაარსდა 2012 წლის 10 თებერვალს, იურიდიული მისამართით - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზირი, ნომერი 150. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 404415753. შპს „ნიუ კლინიკის“ ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სს „პაპ დაზღვევის“ და შპს „ნიუ კლინიკის“ (შემდგომში „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძვლი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორეტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის საწარმოები, მათ შორის სტრუქტურიზებული ერთეულები, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი რადგან (1) აქვს უფლებამოსილება წარმართოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის შემოსავლიანობაზე, (2) აქვს საშუალება და უფლება შეცვალოს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლიანობა მოცემულ საწარმოში მისი მონაწილეობით და (3) აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე და გავლენა მოახდინოს ინვესტორის მომგებიანობაზე. როდესაც ხდება შეფასება აქვს თუ არა ჯგუფს კონტროლი მის ინვესტირებულ კომპანიაზე, გაითვალისწინება მნიშვნელოვანი უფლებების არსებობა, მათ შორის მნიშვნელოვანი პოტენციური ხმის უფლებების ფლობა. ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი უფლება ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც მას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გამოიყენოს იგი შვილობილი საწარმოს საქმიანობების მიმართულების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების პროცესში. ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე მაშინაც, როდესაც იგი ფლობს ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლებს.

სს „პატ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.1 წარდგენის საფუძველი (გაგრძელება)

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი ჯგუფის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს. არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტიციებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

სს პატ დაზღვევა და მისი შვილობილი კომპანია შპს ნიუ კლინიკა იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონლისა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სს „პსპ დაზღვება“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

სააწგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში (გაგრძელება)

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის მირითადი მოთხოვნები:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მომრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნესი მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ მირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მომრაობას, რაც მირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოიდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

სს „პსპ დაზღვება“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საარგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.2 ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში (გაგრძელება)

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი საცალდებულოდ ბალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დაწერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ზემოთ მოცემულის გარდა არ არსებობს სხვა სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის მალაში და რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ გავლენა ჯგუფზე მიმდინარე ან მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის მომავალ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც ჯგუფის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა.

ბ) უცხოურ ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა“.

უცხოურ ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2016, 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი | | |
|--|--------|--|
| აშშ დოლარი | ევრო | |
| 2.6468 | 2.7940 | |
| 2.3949 | 2.6169 | |
| 1.8636 | 2.2656 | |

სს „პსპ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.4 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტები - კლასიფიკაცია

ჯგუფი აფორმებს ხელშეკრულებებს, რომლებიც ატარებს სადაზღვევო ან ფინანსურ რისკს, ან ორივეს ერთად. სადაზღვევო ხელშეკრულება ისეთი ხელშეკრულებაა, რომლის დროსაც მზღვეველი თავის თავზე იდგებს პოლისის მფლობელის მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება ასევე ატარებდეს ფინანსურ რისკსაც. სადაზღვევო რისკის არსებითობა დამოკიდებულია როგორც სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობაზე, ასევე მისი პოტენციური ეფექტის მოცულობაზე.

2.5 ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს ჯგუფი ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის ჯგუფი იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებების. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

2.6 სადაზღვევო და საინვესტიციო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორიცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. ჯგუფი ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორსაც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

(i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი ჯგუფს უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). ჯგუფ ასევე შეიძლება ქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება საბით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

2.7 სადაზღვევო ზარალების ვალდებულებები

რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ ჯგუფს ჯერ არ დაურეგულირებია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომზდარი, მაგარამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

სს „პსკ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.7 სადაზღვეო ზარალების გალდებულებები (გაგრძელება)

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ფორმირებას ჯგუფი ახორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღისათვის, რაც შესაბამისი განაცხადებით დასტურდება.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვეო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვეო თანხების სრული ან ნაწილობრივი დაფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება ჯგუფის ბალანსში, როგორც ვალდებულება.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის დათვლა მოხდა ჯგუფის წინა გამოცდილებიდან გამომდინარე.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი რეზერვების ოდენობა ჯგუფის ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება.

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შემენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისათვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისათვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოადგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოთხოვნები დაზღვევიდან, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები და ფულისა და ფულის ექვივალენტების სახით.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის გადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

სს „პეპ დაზღვება“

კომსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

საანგარიშებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ა) რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც ჯგუფი განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც საგაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:

(i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;

(ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან

(iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჭირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღირებისას ჯგუფის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფს ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:

(i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, ჯგუფს უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშვარად ჩატანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იყრდალება, როგორიცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

(ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მოთავსად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
- ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგნილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძვლით მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება ჯგუფის ფარგლებში, ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ულობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

სს „პაპ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. ჯგუფის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც საგაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისალები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (გ) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (დ) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებლს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

2.9 ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითადი საშუალებების აღრიცხვას აკეთებს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითონირებულებით. თვითონირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟათან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

სს „პსპ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

სააწგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

2. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.9 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

| ჯგუფი | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-----------------------|-------------------------------------|
| ტექნიკური აღჭურვილობა | 5 |
| ავეჯი | 10 |
| ავტომობილები | 5 |

ყოველი სააწგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.10 მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება სააწგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება სააწგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

2.11 ფინანსური და საოპერაციო ოჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

სს „პატ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

(ლაში)

3. მირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მირითადი შეფასებები და დაშვებები

(ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი საბოლოო ზარალები

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების საბოლოო ვალდებულების განსაზღვრა ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს საბოლოო ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი საბოლოო ზარალების, ისე განცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. ზოგიერთი სახეობის პოლისისთვის, მომხდარი, მაგრამ განცხადებელი ზარალების რეზერვი ქმნის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სადაზღვევო ვალდებულების უმტეს ნაწილს. არასიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტის შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება.

(ბ) მირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

მირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხდოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

(გ) მოგების გადასახადი

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, კვისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს.

ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დევლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად ჯგუფს მინიმუმადე დაყავს აღნიშნული რისკი.

(დ) დაზღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

ჯგუფი აფასებს დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნების გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა კონსოლიდირებული მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

4. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

